



2026 წლის მარტის თვის
მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2026


აპრილი

2026 წლის მარტის თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

2

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

8.8%




თებერვალი*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის ორი თვის საშუალო მაჩვენებელი


8.4%

მარტში, სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 4.3% შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია 2.4%-ით განისაზღვრა.




თებერვალში* საქონლის ექსპორტი 22.9%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი 15.4%-ით შემცირდა.

ექსპორტი 1,026.7 იმპორტი 2,485.7




თებერვალში* ფულადმა გზავნილებმა 295.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


ევროკავშირის ქვეყნები - 44.9%;
აშშ - 18.4%;
რუსეთი - 12.2%;





თებერვალში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი, როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე შემცირდა.



მარტში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან 1.4%-ით გაუფასურდა, ევროსთან მიმართებით კი 0.8%-ით გამყარდა.



1. რეალური და ფისკალური სექტორი



2026 წლის თებერვალში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური ზრდის ტემპმა 8.8% შეადგინა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2026 წლის თებერვალში*, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 8.8% შეადგინა, ხოლო იანვარ-თებერვლის საშუალო მაჩვენებელმა 8.4% შეადგინა.



ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: ინფორმაცია და კომუნიკაცია, ტრანსპორტი და დასაწყობება, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, დამამუშავებელი მრეწველობა, სამთომომპოვებითი მრეწველობა.



დღგ-ის საწარმოთა ბრუნვამ 2026 წლის თებერვალში* 13,355.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 10.7%-ით აღემატება.

2026 წლის მარტში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 4.3% შეადგინა.

მარტში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ინფლაციის დონე 4.3%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელთან შედარებით მაღალი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია, ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ტრანსპორტზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე. საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 2.4%-ით განისაზღვრა.

2026 წლის თებერვალში* მშპ-ის წლიურმა საპროცნობო დეფლატორმა 2.9% შეადგინა.






2026 წლის თებერვალში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

თებერვალში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 3.9%-ით, ხოლო ხარჯები 3.3%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 120.9 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო 57.8 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2026 წლის თებერვალში* საგადასახადო შემოსავლებმა 1,878.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1.8%-ით აჭარბებს. კერძოდ, გადასახადის სახეების მიხედვით, შემოსავლების სტრუქტურაში ზრდა დაფიქსირდა შემდეგ გადასახადებში: ქონების გადასახადი (22.7%-ით), მოგების გადასახადი (20.3%), აქციზი (19.4%-ით), დღგ (13.3%-ით), საშემოსავლო გადასახადი (10.1%-ით) და იმპორტის გადასახადი (9.2%-ით). პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 43.1%, ხოლო არაპირდაპირმა 56.9% შეადგინა.


თებერვალში*, წინა წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, არაფინანსური აქტივების 47.8%-იანი კლება (181.5 მლნ ლარით ნაკლები) დაფიქსირდა.




2026 წლის თებერვალში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.

თებერვალში*, წინა წლის თებერვალთან მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 12.8%-ით მოიმატა და 68,504.6 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 14.3%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხები 10.8%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 42.2% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (54.3%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.5% ფიზიკურ პირებზეა, 14.5% კი ინდემნარმეებზე). შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 38.5% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 61.5% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით, გაცემულ სესხებში ყველაზე მეტი - 22.4% გაცემულია მშენებლობის დარგში, 20.7% - ვაჭრობის, 16.1% - მრეწველობის, 15.2% - უძრავი ქონებით ოპერაციებში, 5.6% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.




2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



2026 წლის იანვარ-თებერვალში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა საქონლის ექსპორტი, ხოლო შემცირდა იმპორტი.


2026 წლის იანვარ-თებერვალში* ექსპორტმა 22.9%-ით მოიმატა, ხოლო იმპორტი 15.4%-ით შემცირდა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 6.9%-ით შემცირდა და 3,512.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 29.2%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა შემდეგ ქვეყნებში: არაბთა გაერთიანებული საამიროები (462%), ჩინეთი (289%), თურქეთი (81%), უკრაინა (79%), რუსეთი (28%), სომხეთში (10%), უზბეკეთში (8%) და სხვა. ექსპორტი შემცირდა ყირგიზეთში (36%), ყაზახეთში (33%), ამერბაიჯანსა (3%) და სხვა ქვეყნებში.

იანვარ-თებერვალში* საექსპორტო საქონლის მიხედვით, ზრდა დაფიქსირდა შემდეგ ჯგუფებში: ნავთობი და ნავთობპროდუქტები (480%), ძვირფასი ლითონების მადნები (217%), სპილენძის მადნები (117%), ფეროშენადნობები (93%), თხილი და სხვა კაკალი (84%), უალკოჰოლო სასმელები (43%), სპირტიანი სასმელები (20%), მინერალური და მტკნარი წყალი (11%), ყურძნის ნატურალური ღვინის (10%). შემცირდა მსუბუქი ავტომობილების (24%) საზღვარგარეთ გატანა.




2026 წლის იანვარ-თებერვალში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი - 55.8% საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელდა, 37.0% - საზღვაო, 4.6% - საჰაერო, 2.5% სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) საშუალებების წილმა მხოლოდ 0.04% შეადგინა.

ექსპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით (იანვარი - თებერვალი)




ამავე პერიოდში იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი - 42.5% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 37.3% - საზღვაო, 8.2% - საჰაერო, 5.5% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი სახეების წილმა 6.5% შეადგინა.

იმპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით (იანვარი - თებერვალი)




იანვარ-თებერვალში* საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი 659.7 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 70.0%-ით მეტია. აღნიშნულ პერიოდში 10 უმსხვილეს ქვეყანას, სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა, წარმოადგენდა: ჩინეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 22%), რუსეთი (13%), თურქეთი (12%), სომხეთი (4%), უკრაინა (3%), არაბთა გაერთიანებული საამიროები (3%), ამერბაიჯანი (3%), შვეიცარია (3%),

ფულადი გზავნილები (%)
ჩარიცხვები, თებერვალი



მთლიანი საერთაშორისო რეზერვები
(მლნ აშშ დოლარი)



2026 წლის თებერვალში* ფულადი გზავნილები გაიზარდა.

თებერვალში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილების ჩარიცხვები 17.1%-ით გაიზარდა და 295.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (132.5 მლნ აშშ დოლარი, გზავნილების მთლიანი ოდენობის 44.9%) და აშშ (54.3 მლნ აშშ დოლარი, 18.4%) წარმოადგენდნენ.

რუსეთიდან გზავნილები 18.8%-ით გაიზარდა და 36.0 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (წილი 12.2%).

საანალიზო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფულადი გზავნილების ოდენობა იტალიიდან (52.8 მლნ აშშ დოლარი, წილი 17.9%), ისრაელიდან (25.4 მლნ აშშ დოლარი), გერმანიიდან (24.4 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (23.7 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (10.9 მლნ აშშ დოლარი), ესპანეთიდან (7.8 მლნ აშშ დოლარი), საფრანგეთიდან (5.9 მლნ აშშ დოლარი) და სხვა ქვეყნებიდან.


2026 წლის მარტის საერთაშორისო რეზერვებმა 6,317 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მარტში, საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 6,317 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2025 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 57.3%-ით, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი 5.7%-ით გაიზარდა.

2026 წლის მარტში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე ოპერაციები არ განუხორციელებია.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯრადი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ბმულო.

ფულადი გზავნილები
(მლნ აშშ დოლარი)
იანვარი - თებერვალი



● ჩარიცხვა ● გადარიცხვა


3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2026 წლის თებერვალში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა გაიზარდა.

თებერვალში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარულმა ბაზამ 2.9%-ით მოიმატა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 10.4%-ით გაიზარდა, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 3.6%-ით შემცირდა.


ამავე პერიოდში ფულის M2 აგრეგატმა 27.7%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 16.3%-ს გაუტოლდა. 2026 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 4.3% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები (%-ლი ცვლილება)



2026 წლის მარტში მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 11,591.5 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის: 70.0% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 9.7% - ეროვნული ბანკის, ხოლო 20.3% სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 16.0%, არარეზიდენტი - 4.2%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით (მარტი)




2026 წლის თებერვალში*, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულმა დეპოზიტების საერთო მოცულობამ (ნაშთმა) 69,222.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მანუვრებელს 16.3%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 53.6% შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 46.4%.

თებერვლის* თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 62.1% იურიდიულ პირებს, ხოლო 37.9% ფიზიკურ პირებს ეკუთვნის.

ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 66.9% ფიზიკურ პირებს, ხოლო 33.1% იურიდიულ პირებს ეკუთვნის.


დეპოზიტები თებერვალი



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 55.7% ვადიანი დეპოზიტებია, 24.3% მოთხოვნამდე დეპოზიტები, ხოლო 20.0% მიმდინარე ანგარიშები.


უცხოური ვალუტის შემთხვევაში, ყველაზე დიდი წილი ვადიან დეპოზიტებს უკავია (41.3%), შემდეგ - მოთხოვნამდე დეპოზიტებს (35.1%) და მიმდინარე ანგარიშებს (23.6%).

დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი (მლნ ლარი, %)




2026 წლის თებერვალში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე შემცირდა. თებერვალში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 1.06 პპ-ით შემცირდა და 43.4%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.21 პპ-ით შემცირდა და 42.2% შეადგინა. თებერვლის* თვეში, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 2.5%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 1.8%-ით შემცირდა.

სესხები და დოლარიზაციის კოეფიციენტი (მლნ ლარი, %)




2026 წლის თებერვალში*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 14,926.1 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 21.3%-ით მეტი. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 97.1%-ია, ხოლო მოკლევადიანის - მხოლოდ 2.9%.

სამომხმარებლო სესხები (თებერვალი)



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 46,135.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 14.2%-ით აღემატება. აქედან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 49.7%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 50.3%.

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები (თებერვალი)




თებერვლის* ბოლოს არსებული მონაცემებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში სესხების 65.2% გაცემულია თბილისში, 7.4% - იმერეთში, 7.3% - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 4.6% - ქვემო ქართლში, 4.6% - კახეთში, 3.9% - სამეგრელო-ზემო სვანეთში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2026 წლის თებერვალში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.02 პპ-ით, ხოლო სესხებზე 0.24 პპ-ით შემცირდა.


თებერვალში*, საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.6% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.2%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის), თებერვლის* მდგომარეობით, 6.4% შეადგინა, 0.88 პპ-ით ნაკლები წინა წლის თებერვალთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2026 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დარჩა და კვლავ 8.0% შეადგინა.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე (%)



ლარის გაცვლითი კურსის ინდექსები (ინდექსის ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას, კლება - გაუფასურებას)



2026 წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან მიმართებით გაუფასურდა, ხოლო ევროს მიმართ გამყარდა.

მარტში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 1.4%-ით გაუფასურდა, ევროს მიმართ 0.8%-ით გამყარდა და თურქულ ლირასთან 0.3%-ით გაუფასურდა. ამავ პერიოდში მცირედით გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, თებერვალში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.2%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 4.8%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 21.7%-ით გამყარდა.

მარტის თვეში, პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.72, ევროს მიმართ 3.15, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 0.06 შეადგინა.


4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

2025 წლის IV* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.


2025 წლის IV* კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 2,466.2 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 11.2%-ით (248.7 ლარით) მეტი, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით 8.6%-ით (194.6 ლარით) მეტია.

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2025 წლის IV* კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის (4,373.2 ლარის ოდენობით, 9.1% წლიური ზრდა), მშენებლობის (3,938.9 ლარი, ზრდა 17.2%), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის (3,747.7 ლარის ოდენობით, ზრდა 11.1%), აგრეთვე პროფესიული, სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის დარგებში (3,385.0 ლარი, ზრდა 3.9%).

სახელმწიფო დანახარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე (მლნ ლარი)



დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი)




2026 წლის თებერვალში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე შემცირდა, ხოლო ჯანდაცვაზე გაიზარდა.

თებერვალში*, განათლებაზე განუღმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 226.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით, 8.0%-ით ნაკლებია. ჯანდაცვაზე განუღმა დანახარჯები კი 200.8 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18.8%-ით მეტი.


5. რეგიონული მიმოხილვა

2026 წლის მარტში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება. კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 30.9%, ხოლო სომხეთში 4.5% შეადგინა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2026 წლის თებერვლის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 5.7%-ით, ხოლო რუსეთში 5.9%-ით გაიზარდა.

გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება მარტი



წლიური ინფლაცია მარტი



2026 წლის მარტის თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში, თურქული ლირის გარდა, გამყარდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მარტში აშშ დოლართან მიმართებით თურქული ლირა 16.0%-ით გაუფასურდა, ხოლო გამყარდა რუსული რუბლი 6.9%-ით, სომხური დრამი 4.1%-ით, ქართული ლარი 2.2%-ით, აზერბაიჯანული მანათი კი 0.001%-ით.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	მარ 25	აპრ 25	მაი 25	ივნ 25	ივლ 25	აგვ 25	სექ 25	ოქტ 25	ნოვ 25	დეკ 25	იან 26	თებ 26	მარ 26
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	9.0	7.5	7.5	6.3	6.5	6.6	6.4	6.0	7.2	7.2	7.9	8.8	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	10.8	9.4	13.0	8.7	9.2	9.0	9.2	7.0	10.1	11.0	5.9	10.7	
ინფლაცია (%)	3.5	3.4	3.5	4.0	4.3	4.6	4.8	5.2	4.8	4.0	4.8	4.6	4.3
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.50	0.49	0.49	0.48	0.47	0.47	0.47	0.47	0.47	0.46	0.44	0.44	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.43	0.43	0.43	0.43	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.78	2.75	2.74	2.73	2.71	2.70	2.71	2.72	2.71	2.70	2.70	2.68	2.72
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	291,863	295,541	317,421	315,507	336,988	321,548	317,792	318,709	298,395	340,484	282,637	295,319	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	562	617	580	640	610	603	703	684	782	673	480	546	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,520	1,525	1,486	1,511	1,608	1,497	1,565	1,557	1,512	1,892	1,149	1,337	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-957.8	-908.3	-906.2	-870.6	-998.0	-894.1	-861.5	-873.0	-729.3	-1,219.3	-668.4	-790.6	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,311	4,518	4,585	4,688	5,020	5,204	5,428	5,603	5,816	6,159	6,300	6,659	6,317
შემოსავლები (მლნ ლარი)	2,372	2,059	2,819	2,609	2,387	2,117.9	2,499.4	2,296.7	2,264.4	2,874.5	2,302.4	2,032.5	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,955	1,940	1,872	2,000	2,252	1,724.8	1,845.3	2,033.9	1,687.5	3,738.7	2,005.0	1,911.6	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	406	397	332	454	371	400.2	578.5	320.8	344.4	1,116.7	229.6	198.5	

ზრდა
 კლება
 ცვლილება < 1%


ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან

		მარ 25	აპრ 25	მაისი 25	ივნ 25	ივლ 25	აგვ 25	სექტ 25	ოქტ.25	ნოვ.25	დეკ 25	იან.26	თებ.26	მარ.26
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
	შემოსავლები													
ფისკალური სექტორი	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან

		მარ 25	აპრ 25	მაისი 25	ივნ 25	ივლ 25	აგვ 25	სექტ 25	ოქტ.25	ნოვ.25	დეკ 25	იან.26	თებ.26	მარ.26
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
	შემოსავლები													
ფისკალური სექტორი	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ



ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

